ტფილისი


**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა


**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.



ახალი სასტუმრო

**ბერლინ**

გაიდო, ალექსანდროვის ბაღის გვერდით, ბაზრის ქუჩაზედ, ცენტრალნი პალატის ქვეშ, თამამშოვების სახლში, სუფთათ გამართული ნომრებით. სადილ-ვახშამი სამი ბლიუდისაგან ღირს 17 მან.—ორი—13 მან. თვეში.

აქვე ყოველ გვარი სასაუზმო და პიროჟკები. სადილ-ვახშმის სახლზედ გამოტანაც შეიძლება—თვეობით ანუ თითო სადილობით. სოფრომ ხარაძე.

(3—2)


ჯვარ ამაღლების გამო ხვალის ზევით, სამშაბათს „დროება“ არ გამოვა.

## ტელეგრამმა

(„სალხთაშორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღის ბირჟა, 11 სეკტემბ.**

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 96 — | 50 |
| მეორესი — — — — | 94 — | „ |
| მესამესი — — — — | 94 — | 75 |
| მეოთხესი — — — | 93 — | 75 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 91 — | 12 |
| აღმოსავლეთის მეორე | 91 — | 25 |
| აღმოსავლეთის მესამე | 91 — | „ |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 7 — | 66 |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 226 — | 50 |
| მეორე სესხის — — | 220 — | 75 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 25 — | 75 | პენსი |
| ბერლინი — | „ — | „ | პფენიგი |
| ჰამბურღი — | 220 — | 62 | ცენტი |
| პარიჟი — — | 273 — | 50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | — | — | — |

### ახალი ამბები.

დღეს დილის 6 საათზე არხეოლოგიურ კრებისათვის უცხო ქვეყნიდამ და რუსეთიდამ ჩამოსული სტუმრები ქუთაისისაკენ გაემგზავრნენ განსაკუთრებულის მატარებელით.

იმედია ქუთაისი ჯეროვანად დაუხვდება ძვირფასს სტუმრებს და თავისებურ, განთქმულ იმერულ სტუმრის პატივისცემას აღმოაჩენს...

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ მომავალ კვირის ხუთშაბათს სომხური თეატრალური კომიტეტი წარმოადგენს მართავს საზაფხულო თეატრში განსაკუთრებით არხეოლოგიურ კრების წევრთათვის.

***

გუშინ დილით თფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნული იყო ჩვენი გაზეთის რედაქტორისა და თანამშრომელის ბატ. ილია ჭყონიას საქმე, რომელთაც შეურაცხყოფისა და პატივის შეხებისათვის უჩივლა ქუთაისის გუბ. სახელმწიფო მამულების გამგეობის აგენტმა ბატ. ბალიასნიმ.

რადგან სასამართლოში არ გამოცხადდნენ არც ბატ. ი. ჭყონია და არც თვითონ მომჩივანი, ამის გამო, თუმცა „დროების“ რედაქტორმა ს. მესხმა ითხოვა, რომ იმის შესახებ გარჩეულიყო ეს საქმე, მაგრამ სამოსამართლო პალატამ გარდაწყვიტა ამ საქმის მეორე ვადამდინ გადადება და იმ დროსთვის ხელ ახლად დაბარება ზემოხსენებულ პირებისა.

***

ჩვენ მივიღეთ ტელეგრამმა ოზურგეთიდამ, რომ გუშინ-წინ, 11 ენკენისთვეს, იქ გარდაიცვლილა გურიის ეპისკოპოსი გაბრიელი.

### არხეოლოგიური კრება.

10 სეკტემბერს.

დილას პირველათ ილაპარაკა დ. ი. ჩუბინოვმა. ყოველთაგან პატივცემულ დამსახურებულ პროფესორს მოხსენების საგნათ ჰქონდა „ქრონიკის ერის დასაწყისი“. საზოგადო აზრი არისო, სთქვა რეფერენტმა, რომ ეს ერა იწყება ქრისტეს წინათ 297 წელს; მე კი ქართული ისტორიის შემწეობით და სხვა ისტორიული მოსაზრებით დავამტკიცებ, რომ ეს ერა იწყება 284 წელს და არა 297-ს. საბუთად ამისა ბატ. ჩუბინოვმა მოიყვანა საზოგადო ისტორიაში მიღებული აზრი, რომ ყოველი ხალხის ცხოვრებაში ერა მაშინ იწყება, როდესაც ხალხი თავისუფლებას მიიღებს, ან მის ცხოვრებაში დიდი რამ ისტორიული ცვლილება მოხდება და 297 წელს კი, როგორც ვიცით, არა მომხდარა, რომ ამ წელს ერა დაეწყოთ.... შემდეგ პროფესორმა მოიყვანა დასამტკიცებლათ რამდენიმე ციფრი და ფაქტები.

საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო ბ. ჩუბინოვის რეფერატი. როცა იმან ლაპარაკი გაათავა ზალაში ატყდა ტაშის-კვრა და ბრავო, რომელიც დიდ ხანს გაგრძელდა. ეს პირველი რეფერატი იყო, რომელიც საზოგადოებას მოეწონა. მისმა ოპპონენტმა პეტერბურღის უნივერსიტეტის პროფესორმა ბატ. ხვოლსონმა რამდენიმე სიტყვა სთქვა ჩუბინოვის რეფერატის შესახებ. იმისი აზრით, ისტორიაში მიღებული აზრის გამოსაცვლელათ უფრო ბევრი

---

«დროების» ფელტონი, 13 სეკტემბ.

### ოთხი დღე.

(თარგმანი)

გუშინ (მგონი რომ გუშინ იყოს?) დამჭრეს; გაიდა ერთი დღე-და-ღამე; გაივლიან კიდე დღენი და ღამენი—მე მოკვდები. დეე, ჩემი სხეული იყვეს უძრავად!.. რა კარგი იქნებოდა, რომ ეს ტვინის მუშაობაც შეჩერდებოდეს, მაგრამ იმას ვერაფრით ვერ დააყენებ. ფიქრები და მოგონებანი გროვდებიან და ირევიან თავში. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდება ესეც; მალე ბოლო მოეღება. მხოლოდ გაზეთებში დარჩებიან რამდენიმე სტრიქონები: ზარალი ჩვენის მხრით არ არისო საგრძნობელი: დაიჭრაო ამდენი და ამდენი, მოკვდაო ესა და ეს! მაგრამ გვარსაც არ დასწერავენ! ერთი მოკვდაო, იტყვიან, და ეს არის, ერთი სალდათიო, როგორც ის ლეკვი!..

მართალი სურათი ცოცხლად იხატება ჩემს გონებაში. დიდი ხანია მას აქეთ... მაგრამ ყველაფერი, მთელი ჩემი სიცოცხლე, ის სიცოცხლე, როცა ჯერ კიდევ არ ვიწექი აქ ფეხებ დამტვრეული,—ასე დიდი ხანია იყო! მე ქუჩაში მივდიოდი და შემაჩერა ხალხის გროვამ, რომელიც იდგა და შესცქეროდა რაღაც მოთეთროს, სისხლში მოსვრილს, რომელიც მწუხარეთ წკმუტუნებდა. ეს იყო პატარა, მშვენიერი ძაღლი: ცხენის რკინის გზის ვაგონმა გადაიარა იმაზედ. ის კვდებოდა, აი როგორც მხლა მე. ერთმა ვიღაცამ გაარღვია ხალხი, მოავლო ძაღლს ხელი და გააქანა! ხალხის გროვა დაიშალა.

წამიყვანს მე ვინმე? არა, ეგდე და მოკვდი!.. მერე, რა კარგია სიცოცხლე! იმ დღეს, (როცა ძაღლს უბედურება შეემთხვა) მე ბედნიერი ვიყავი!., შენ ეი მოგონება, ნუ მტანჯავ! თავი დამანებე, მომასვენე. წარსული ბედნიერება და აწმყო ტანჯვანი... დეე, დარჩეს ეს ტანჯვა, ოღონდ კი ნუ მაწუხებს ეს მოგონება, რომელიც ნება-უნებურათ მადარებინებს აწმყოსთან! მწუხარებავ, შენ ჭრილობაზედ უარესი ხარ!

დაცხა; მზე მწვავს. ვახელ თვალებსა და ვხედავ იმავე ჯაგებსა იმავ ცას, მხოლოდ დღის სინათლეზედ. აი ჩემი მეზობელიც! დიახ, ეს თათარი ჰყოფილა, მკვდარი! რა ვეება რამ არის! მე ვიცნობ ამას. ეს ის არის! ჩემ წინა ძევს ჩემგან მოკლული კაცი! რათ მოვკალ მე ის? ის გდია აქ მკვდარი, სისხლში მოსვრილი! რათ მოახვედრა ბარმა ბედმა ის აქა? ვინ არის? იქნება ამასაც, როგორც მე, ჰყავდეს ბებერი დედა? დიდხან ის საღამ-საღამოობით იჯდება ხოლმე თავის ქოხის კარებთან და დაიწყებს ცქერას: ხომ არ მიდის იმისი ძვირფასი შვილი, იმისი მუშა, პურის მჭამელი.

მე? მეც! მე კიდევაც შევნატრი იმას და სიხარულით გავცვლიდი იმაში ჩემს თავს. რა ბედნიერია: არ ესმის არაფერი, არა გრძნობს არც ჭრილობისაგან ტკივილს, არცა მწუხარებას, არც წყურვილს! ჩემი ხიშტი პირ-და-პირ გულში შერჭობია.

არავისთვის ბოროტი არა მსუროდა, როცა საჩხუბროდ მოვდიოდი. ფიქრები: „მეც უნდა ვხოცო-მეთქი ხალხი“, როგორღაც არ ეკარებოდნენ ჩემს გულს, არ მოდიოდნენ ჩემს თავში! მე მხოლოდ წარმოდგენილი მქონდა, როგორ უნდა მიმეშვირა ჩემი გული ტყვიისათვის; მოველ აქა და მართლაც მივუშვირე. და რა გამოვიდა?

უგუნური, სულელი საწყალი თათარი! ის უფრო მცირე დამნაშავეა. სანამ იმას გემში ჩასვამდნენ, როგორც თევზებს კასრში, და წაიყვანდნენ სტამბოლში, არცკი გაეგონა რუსეთი ან ბოლგარია. იმას უბრძანეს წადიო და წავიდა. თუ არ წასულიყო, დაუწყებდნენ ჯოხებით ცემას და იქნება რომელიმე ფაშას რევოლვერის ტყვიაც რტყმია გულში! ის მოდიოდა მძიმეთ სტამბოლიდამ რუშჩუკამდი! ჩვენ თავს დავეცით, ის თავს იფარავდა. მაგრამ დაინახა რა, რომ ჩვენ საშიში ხალხი ვართ, არ გვეშინია იმისი ინგლისური პიბოდისა და მარტინის პატენტიანის თოფებისა, სულ მივდივართ და მივდივართ წინ,—ის შეშინდა და როცა გაქცევა დააპირა, მივარდა ერთი ვიღაც პატარა კაცი, რომელსაც ის თავისი შავი მუშტის ერთის დაკვრით იქვე გაანადგურებდა და აძგერა გულში ხიშტი! რითია ის დანაშავე? და ან მე რითა ვარ დამნაშავე, თუმცა კი იმისი მკვლელი ვარ!

უჰ! წყურვილი იტანჯავს, წყურვილი! ვინ იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვა! მაშინაც, როცა ჩვენ რუმინიაზედ მივდიოდით და საშინელი, 40 გრადუსიან სიცხეში 50 ვერსს გავდიოდით, მაშინაც ვერა ვგრძნობდი იმას, რასაც ეხლა ვგრძნობ! ნეტავი ვინმე მოვიდეს! ღმერთო ჩემო,

და უფრო მაგარი საბუთები უნდა იყვეს ვინემ ჩუბინოვისაგან წარმოდგენილი საბუთებიო. ჩუბინოვმა ამაზე მოკლეთ და ფიცხლათ უპასუხა, რომ იმან იცის რაზედაც ლაპარაკობს და სანამ იმას არ დაუმტკიცებენ, რომ იმისგან მოყვანილი საბუთები უსაფუძვლოა, ის ყურადღებას არ მიაქცევს თავის მოწინაალმდეგეს.

ჩუბინოვის შემდეგ ბატ. დ. პ. ფურცელაძემ მოახსენა კრებას კიევში პოვნილ ქართულ საეკკლესიო სამკაულების აღწერა და ისტორია.

ბატ. პოკროვსკიმ წაიკითხა დიდათ საინტერესო რეფერატი მასზე თუ რა მიმართობაში არიან ერთმანერთთან ჩვენი საქორწინო გვირგვინი და ძველი წარმართებისა.

დასასრულ ბატ. ა. დ. ერიცოვმა წაიკითხა სომხურს ერთს სეკტაზე. ეს სეკტა მეთერთმეტე საუკუნის სეკტა არის და როგორც დაგვარწმუნა ბატონმა ერიცოვმა ჯერ კიდევ არსებობს ზოგიერთ ადგილებზე.

—

სალამოს ილაპარაკა ბატ. სტოიანოვმა ქუთაისის სობოროს ნანგრევზე. მოახსენა კრებას რომ დასამზადებელი კამიტეტის მონდობილებით იმან გასწმიდა ნაგავისაგან ეს ადგილი სხვა და-სხვა პირების შემწეობით და იპოვა ქვები—ეკკლესიის ნანგრევი. სამწუხაროთ ამის სათქმელათ იმან ერთი საათი მეტი იხმარა და, ცოტა არ იყოს, საზოგადოება მოაწყინა სულ „მე“-ზე ლაპარაკით.

ბატ. ერიცოვმა წაიკითხა აურბაკევიჩის აზრი ბიჭვინცას განახლებაზე.

ბატ. ბაქრაძემ და ერიცოვმა წაიკითხეს ქართულ და სომხურ ნაშთებზე ერუსალმეთში.

ამ სალამოსვე ბატ. დ. პ. ფურცელაძემ მოახსენა კრებას, პროფესორის პეტროვისაგან წარმოთქმულის აზრის წინაალმდეგ, რომ საქართველოში საკუთარი მხატვრობა იყო გელათს და სხვა მონასტრებში...

12 სეკტემბერს

დილას ილაპარაკეს ტიზენგაუზენმა, პატკანოვმა და ხვოლსონმა პატკანოვი კითხულობდა ძველი აზიელების ანბანებზე, რომელიც ლურსმნის მსგავსნი არიან. ილაპარაკა ერთს წარჩინებულ ორიანტალისტზე, რომელმაც პირველათ წაიკითხა ეს ანბანი ძველებურ წარწერაზე. ლექციას არ ჰქონდა მაინც-და-მაინც მეცნიერული ინტერესი, მაგრამ როგორც საზოგადო პუბლიკური ლექცია კარგი იყო.

ხვოლსონმა კიდევ უფრო საინტერესო რეფერატი წაიკითხა ერთს ებრაულ წარწერაზე ჩუფუთ-კალეში. ეს წარწერა ეკუთვნის როგორც სწავლულმა სემიტმა დაგვანახა 7 თუ 6 საუკუნეს ქრისტეს წინათ.

სალამოს სამმა ჩვენმა სწავლულებმა: ა. ცაგარელმა, დ. ბაქრაძემ და ოქრომჭედლიშვილმა წაიკითხეს თავიანთი რეფერატები.

ბატ. ცაგარელმა წაიკითხა ქართულ მწერლობაზე. ილაპარაკა ვინ და როგორ იშრომა ევროპაში ქართული მწერლობის შესასწავლებლათ, ვინ როდის და როგორ შემოიღო ქართული წიგნების ბიბლიოთეკა და ბოლოს აცნობა მსმენელებს, რომ ის ადგენს ქართული წიგნების კატალოგს.

ბატ. დ. ბაქრაძემ წაიკითხა მოხსენება იმ სახარებაზე, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც იმას უპოვნია ქსნის ხეობაში.

ბატ. ოქრომჭედლიშვილმა წაიკითხა ქართულ ასოებზე. საზოგადო აზრი არის რომ ჩვენი მხედრული ხუცურიდამ წარმოდგება. ეს ხუცურიც, როგორც სომხები ამბობენ, მათი მესროპის მოგონილია. ბატ. ოქრომჭედლიშვილი იმ აზრისაა, რომ ჯერ მხედრული ასოები ჰქონდათ ქართველებს, რომ ამ მხედრულის შემომღებები იყო ფარნაოზ მეფე და რომ ეს ასოები ქართველებმა გადმოიღეს ზენდური ასოებიდამ.

ბატ. ერიცოვმა ამისი წინაალდეგი ილაპარაკა. იმისი ჰაზრით, ყველა ძველ ხალხებს ლურსმნის მსგავსი ასოები აქვს. რგვალი ასოები ბოლოს კეთდება ამ ასოებიდამ და ქართველ მწერლობაც უეჭველია ამ საზოგადო წესის მიმდევი იქნებოდა. მესროპის მეც არა მჯერა, მაგრამ მხედრული, რომ უფრო ახალია ეს ცხადია. ფარნაოზზე მოთხრობა ჯერ არაფრით არ არის დამტკიცებული. ქართლის ცხოვრება უკანასკნელ საუკუნოებში არის რედაქციაში მოყვანილი და ამიტომ შეურყეველ საბუთს არ წარმოადგენს.

—

გუშინ, 12 სეკტემბერს, დილით ნემეცურ და ფრანციცულ ენაზე იყო სხდომა, ბატ. ვირხოვის თავსმჯდომარეობით. სალამოს უნდა ელაპარაკნათ ზაგურსკის, მილლერს და ცაგარელს. ამათზე შემდეგ ნომერში იქნება.

დღეს. დილის 6 საათზე არხეოლოგიური კრება საჩქარო პოეზდით მიდის მცხეთას, ქუთაისს და გელათს. როგორც ეტყობა ქუთაისში დიდს მზადებაში არიან. თექვსმეტ ამ თვეს, ხუთშაბათს დილას, [illegible] გაიხსნება სხდომები თბილისში.

ღქლო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

ლეჩხუმი, 9 სეკტემბერს. ყველამ იცის, რომ ლეჩხუმში 1 ენკენისთვიდამ დაწყებული 20-მდის იარმუკა არის გაჩაღებული; ამ იარმუკაში მოდის ყოველ გვარი ხალხი და მოაქვს ყოველ გვარი გასასყიდი. ლეჩხუმის მოსახლობა აქ ყიდულობს საჭირო ნივთეულობას, ხორაგს და ამითი დამზადებულ მიეგებება დიდ ზამთარს. სამწუხაროა რომ წრეულს ამ ბედნიებას და მოლოდებას ყველა მოვაკლდით. ლეჩხუმსა და სენაკის უეზდის საშუალ მდებარე ღედის ტყე, საძი ვერსტი, ისე დააქცია აგვისტოს თვის ავდარმა, რომ ცხენს და ქვეით კაცს მოძრაობა არ შეუძლია და პირუტყვს მისვლა მოსვლა; ამის გამო ლეჩხუმელებმა ენახეთ დიდი ზარალი და საზამთროთ მოუმზადებლები დავრჩით.

ამ გზის გაკეთება აგვითქვეს პირველად ქუთაისის ღუბერნატორმა 1880 წელშიდ და მეორედ რევიზორმა უფალმა სარაჯოვმა, მაგრამ ჯერ არავითარი განკარგულება არ არის.

ჩვენ დავრწმუნდით 1-ს ეკენის. „დროებიდამ“, რომ მთავრობა ადგილ-მამულის შესყიდვისათვის ფულებს არ გვიგზავნის. ეს არ დავიჯარეთ ჩვენ, გლეხებმან, თუმცა ჩვენი პოსრედნიკი ბატონი ბაქრაძე ყოველ „სხოდის“ შეკრების დღეს, ამას ქადაგებდა. ჭკუიანი ვინც იყო, დაუჯერეს და დაიხსნეს მაგრამ ბევრმა არ დაიჯერეს და ადგილ მამული არ

---

იქნება ახას ამ ჭურჭელში წყალი ჰქონდეს! მაგრამ მისვლა არ უნდა იმასთან! ვცდი მაინცა, იქნება მივბობღდე... აი. მივხოხავ, ფეხები მეთრევა, დასუსტებული ხელები ძლივს იმაგრებენ ჩემს უმძრავ სხეულ. მკვდრამდი ორი საჟენია, მაგრამ ჩემთვის ეს ორ ვერსზედაც მეტია, მაინც უნდა ვიფოფხო! ყელი და გული მიხუთს, ცეცხლი, მეკიდება. უწყლოთ მალე მოვკდები.. აი მივცოცავ!- ფეხები წამოედებიან ხოლმე მიწას და თითოეულ განძრევაზედ მოუთმენელ ტკივილსა ვგრძნობ. ვყვირი ვღრიალებ, ვტირი და მაინც მივხოხავ. ბოლოს,—მივახწიე! აი ჭურჭელიც. ბლომათ ჰყოფილა შიგ წყალი. კარგა ხანს მეყოფა ეს წყალი, სიკვდილამდი მეყოფა!. შენ უნდა მომარჩინო, ჩემო მსხვერპლო?. მე ვხსნი ჭურჭელს, დაყრდნობილი ცალ ნიდაყვზედ, რომელმაც უეცრად მისუსტა და დავეცი პირქვე ჩემი გამომხსნელის გულზედ. იმას სიმყრალის სული ასდის.

დავლიე წყალი. თბილი კია, მაგრამ არა უშავს-რა. კიდევ ვიცოცხლებ რამდენიმე დღეს: მახსოვს, ფიზიოლოღიაში ამომიკითხავს, რომ, თუ წყალი აქვს ადამიანს, უჭმელად ერთ კვირაზედ მეტსაც გაძლებსო. იქ კიდევ სხვა მაგალითებიც არის მოყვანილი, რომ უჭმელად ად მიანი კარგახანსა სძლებს. ხუთი-ექვსი დღეც რომ კიდევ ვიცოცხლო! რა გამოვა მერე აქედგან?.. ჩვენები წავიდნენ, ბულგარიელებიც წავიდნენ, გზა მახლობლათ არა არის. არა სჯობია ეხლავე მოვკდე? ჩემს მეზობელს გვერდით მშვენიერი თოფი აქვს; საჭიროა მხოლოდ ხელი მივაწვდინო, მერე ერთი თვალის დახამხამება, და მორჩა!. ტყვიაც აქვე ჰყრია!. ვერ მოუსწრია საწყალს ყველა გაესროლა. ამ გვარათ დავასრულო ჩემი სიცოცხლე, თუ დიველოდო?! მაგრამ რას დაუცადო? მოვიცადო, სანამ თათრები მოვლენ და გამატყავებენ, „ოთხში ამომიღებენ!?“ ისევ თითონ მე მოვიკლავ თავსა!..

მაგრამ არა, არ დავეცემი სულით, უნდა ვიბრძოლო ალსასრულამდი, უკანასკნელ ღონემდი! თუ მიპოვეს, ხო კარგია, მოვრჩები: იქნება ძვლები არ დამტვრეულან და მომარჩენენ!...

ვხედავ სამშობლო, დედას, მამას!.. ღმერთო ნუ გააგებინებ იმათ ამ ჩემს ტანჯვას...

სრულიად დასუსტებული ვწევარ, მზე მწვავს ხელებსა, სახეს. არა მაქვსრა, რომ დავიფარო! ნეტავ მალე დაღამდეს. ეს, მგონი, მეორე ღამე იქნება. ფიქრები ირევიან და მეძინება.

დიდ-ხანს მეძინა, ამიტომ რომ როცა გამომეღვიძა, ღამე იყო. ყველაფერი ისევ ისეა: ჭრილობა მტკივა, მეზობელი გაშხლართულა და ისევ ისე დიდი და უძრავია!.. ვერ მოვიშორე ის გონებიდამ!.. განა იმიტომ დავსტოვე ყოველივე საყვარელი, ძვირფასი, და წამოველ აქ, გამოვიარე შიმშილი, წყურვილი, სიცივე, სიცხე; იმიტომ ვგდივარ ეხლა აქ ამ წვალებაში, რომ ამ ბედკრულს აღარ ეცოცხლა ქვეყანაზედ! რა სარგებლობა მოვუტანე სამხედრო სამსახურს, იმის სიკვდილის მეტი! როცა მე ვიფიქრე ომში წასვლა, დედა და მამა არ მიშლიდნენ, თუმცა კი სტიროდნენ. მე არ მივხედე იმათ ცრემლებს. არ მესმოდა (ეხლა მესმის), თუ რას ვუმზადებდი ჩემს მახლობელ არსებათა!.. რაღას ვიგონებ, როცა წარსულს ველარ დავაბრუნებ!.. მივდივარ კიშინევში... დამტვირთეს სხვა-და-სხვა სამხედრო იარაღებით და ავყოლივარ ათასი კაცის ფეხის ხმას. ამ ათასში იქნება ნახევარსაც არ სურდეს წასვლა იმ ხალისით, როგორც მე! თუ რომ ნება მიეცათ, სიხარულით დარჩებოდნენ ისინი შინა! მაგრამ მაინც მიდიან, როგორც ჩვენ. გაივლიან ათასს ვერსს და ომობენ. თავიანთ მოვალეობას ასრულებენ, თუმცა კი სიხარულით თავს დაანებებდნენ ამ მოვალეობას.

დაუბერა დილის გრილმა ნიავმა. ჯავებმა რხევა იწყეს. გაიღვიძეს და ფრთა გაიბერტყეს მძინარე ფრინველებმა. ვარსკვლავები მიჰქრა ცაში. ცამ იცვალა თავისი ლურჯი ფერი; ბინდი შორდება დედა-მიწას. ეს არის მესამე დღე ჩემის წვალებისა...

მესამე დღე... რამდენილა დარჩა კიდევ!? შთუოდ ცოტა, ძალიან ცოტა. მე ძალიან დავსუსტდი და მგონი ვერც კი შევიძლებ მოვშორდე მკვდარს. მალე დავემსგავსები მე ამას; მაშინ აღარ შემეზიზღება ერთი მეორეს.

მწყურია. უნდა დავლიო წყალი. დღეში სამჯერ ვსვამ: დილით, შუადღეზედ და სალამოს.

(დასასრული შემდეგ №-ში)

შეისყიდეს. დღეს თავდახსნილის ცოლ-შვილი ლოცავენ პასრედნიკს ბაქრაძეს და დარჩენილები სწყევლიან იმ ცხენოსანს და ავაზაკს გლეხებს რომელნიც ხშირად დადიან სოფელშიდ და ატყუილებენ ხალხს ადგილ-მამულს უსასყიდლოთ შეიძენს გლეხებიო; იმათ არ ენაღვლებათ სოფელშიდ ღვინო სვან, ცხენით იარონ, ხალხი აღორონ! საწყალ მუშა გლეხს მათი სიტყვა ძლიერ მართალი ჰგონია; ამ გვარს საქმეს ჩადიან ნამამასახლისევი გლეხები და ხუცის შვილები.

ლეჩხუმელი გლეხთაგანი ასათიანი.

---

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! თქვენ გაზეთის № 182 იყო ფელტონში დაბეჭდილი ივრის-ხეობიდამ კორრესპონდენცია, რომელშიაც ბ. ამარი ლენდრე მე მკიცხავს და მდებს საშინელ ცილს მანავის მამასახლისის მიხას ცემაზედ და უდიერ მისს ტანჯვაზედ.

მე, სწორედ მოგახსენოთ, სრულიად არა მქონდა სურვილი მიმეგო პასუხი ლენდრესათვის, რადგანაც ამ ცოტას ხანში აღმოჩნდება ძიებით—ვინ არის ჩემდა მიხას შუა მართალი და ან ვის ექომაგება განათლებული ლიტერატორი, მცოდნე ზეპირად ჰამლეტის ტრაგედიის და ჩიედრინის ტევრტებარა. მე ძალიან ვწუხვარ, რომ მცოდნე შექსპირის თხზულებისა და სხვათა მწერალთა იგონებს ამ გვარ უსაფუძვლო ჭორებს და მეხება მე უპატიურათ. მართალია, ბ. ლენდრეს აზრით არც ერთი კაცი არ იპოვება ადმინისტრაციაში პატიოსანი, რომელთანაც შეიძლებოდეს ლაპარაკი და ხელის მიცემა, მაგრამ ვგონებ, არც ერთი კაცი ადმინისტრაციისა არ მისცემს თავის თავს ნებას, მეტადრე მაშინ, როდესაც იცის მან შექსპირის თხზულება ზეპირად, რომ მოიგონოს ამ გვარი ცილი. რომ დავუმტკიცო ბ. ლენდრეს თავისი უსაფუძვლო და უაზრო ჭორი, აგრეთვე „დროების“ მკითხველთ გავაცნო ჩემი მოქმედება ამ შემთხვევაში, ამისთვის მომყავს ეს საქმე სრულიად ისე, როგორც მოხდა ნამდვილად და არა ისე, როგორც ბ. ლენდრე ჰბადავს უცნაურს ჭორს. აი საქმე რაში მდგომარეობს:

ოც-და-ექვს წასრულ თიბათვეს თბილისის გუბერნატორი მობრძანდა ახლად-ნაკეთებ თიონეთის ქვა-შლილის გზის გასაშინჯათ, სადაც დახვდნენ ზოგიერთნი ჩვენის მაზრის მამასახლისები და სთხოვეს გუბერნატორს, რომ მიეცათ მათთვის ორი კვირის ვადა, ვიდრე ყანებს მომკიან და შემდეგ დაიწყობენ კიდევ მუშაობას. ბ. თბილისის გუბერნატორმა მისცა ორის კვირის ვადა და უბრძანა, რომ ორი კვირის შემდეგ უეჭველად უნდა დაიწყოთ მუშაობა; აგრეთვე მე მიბრძანა, რომ ორის კვირის მეტს ნუ დავაცალი და უეჭველათ ვადაზედ უნდა დავიწყო მუშაობა.

ამის შემდეგ მე მომივიდა მიწერილობა თბილისის მაზრის უფროსისაგან, რომ ივრის-ჭალაში, როგორათაც ატყობინებს სიღნაღის მაზრის უფროსი, აღმოჩენილან თულები და მიბრძანებდა, რომ მიმეღო ჯეროვანი განკარგულება და დამეჭირნა ის თულები. ამაზედ მოვიწვიე ახლო მდებარე სოფლების მამასახლისები დაიარაღებული ხალხით, რომელნიც აღნიშნულ ვადაზედ მოვიდნენ, აგრეთვე წამომყვნენ თელავის მაზრიდგან მოსული პრაპორჩიკი ელეფთერ მკერვალიძე და საგარეჯოში მცხოვრებელი პრაპორშჩიკი გიორგი ჯაბადარი. ამ ხალხით მოვჩხრიკე ის ჭალა, სადაც დავრჩით ის დღე და ღამე და რადგანაც კვალი ვერა გავიკვლიეთ იმ თულებისა, დავბრუნდით ივრის ხიდის დუქანში, სადაც მოვიდა უმანკო და ჩემგან დატანჯული მანავის მამასახლისი მიხა. იმ ქამად მე ვკითხულობდი „დროებას“ და ვერ გავიგე იმისი მოსვლა, მხოლოდ შემომესმა ხმა ვილაცისა, რომელმაც უთხრა იმას: —ოჰ, მამასახლისო, რა ადრე მოხვედიო! ამ წარმოთქმაზედ შევხედე და დავინახე ბ. ლენდრეს გმირი მამასახლისი მიხა, რომელზედაც მეც დავუმატე:—დიახ, ძალიან ადრეა! მან ამაზედ მიპასუხა:—რატომ არა ვარ მოხარული, რომ ან ასე ადრე ახლა მოვიდა! ბ. ლენდრე, ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენმა განათლებულმა ყურმა არ მოისმინა ეს ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი თქვენის გმირის მიხასი. იმის სიბრიყვეს არავითარი ყური არ ვუგდე და განვაგრძელე გაზეთის კითხვა. გათავების შემდეგ მე გამოვუცხადე მანავის მამასახლისს გუბერნატორის ბრძანება და ვადა. ამაზედ უმანკო ლენდრეს მამასახლისმა ბრიყვულათ, თუმცა კი მიეტევება, რადგანაც შექსპირის თხზულება მან არ იცის ზეპირად, მიპასუხა:—არც გუბერნატორი ვიცი და არც თქვენი ვადა! მე მყავს ფოდრაჩიკი, გააკეთებსო კარგი და თუ არ გააკეთებს და ამ ჩემს ფეხებს. უკაცრაოდ ბ. ლენდრე, ამ გვარ უზრდელო სიტყვების გამოხატვაზედ თქვენის მფარველობის ქვეშე მყოფის, ხალხის ერთგულის და ჩემგან ტანჯულის მამასახლისისაგან. ამაზედ მე ვუპასუხე, რომ ყველა მამასახლისებმა რომ დაიჭირონ ასეთი პოდრიადჩიკები, როგორიც რომ შენია, უსახლკარო, უთვის-ტომო, ვარდნილი პრისტავებმა ან სად ეძებონ და ან სად იპოვონ ჩვენ გვაქვს ამაზედ გუბერნატორისაგან ბრძანება და თქვენც გამოცხადებული ხელწერილით, რომელიც პოდრიადჩიკი არ შეასრულებს თავის ნაწილს მოვთხოვთ საზოგადოებას და არა პოდრიადჩიკებს. ბ. ლენდრე, მაქვს ნება მოწიწებით გთხოვოთ, ინებოთ თქვენის განათლებულის გონებით მოისმინოთ სიტყვანი თქმულნი ჩემგან უმიზეზოთ გაუბედურებულის მამასახლისისა:—შარლატნებიც თქვენა ხართო, იმისთვისაო, რომ ჯერ ნება მოგვეცით პოდრიადჩიკების და ახლა კი ჩვენვე უნდა შეგვაწუხოთო.—როგორ! ვიზედ ბედავ მაგ სიტყვების თქმას? ვკითხე მე.—თქვენზედ, თქვენზედ.

აბა, ბ. ლენდრე, თქვენის კეთილის სინიდისით მიბრძანე, არ შემდეგინა პროტოკოლი?.. მოვითხოვე ქაღალდი და კალამი და დავიწყე პროტოკოლის შედგენა. ამაზედ მამასახლისმა დაიწყო ხარხარი და გარდაგორდა ტახტზედ.—მაშ, დაატანა მან, აი ესეც ჩაწერე, რომ სამი კაციც მოვკალი, ევებ მაგით მაინც არის რამე მიყო... ჩემს კალამს ნებას არ ვაძლევ გამოსთქვას ის ბილწი და უწმაწური სიტყვები, რაც თქვენმა საყვარელმა მამასახლისის პირმა გამოსთქვა.

შემდეგ ამისა მე უბრძანე იქ მყოფს სართის ქალის პორტის ურიადნიკს, რომ ტახტიდგან ფეხზედ წამოეყენებინა. ამ ბრძანებაზედ წამოხტა მამასახლისი იტაცა ხანჯლის ტარზედ ხელი, იწყო საშინელი ლანძღვა და მოიწია ჩემზედ, იძახოდა:—გამიშვით ან ეგ უნდა იყოს და ან მე! დამალევინეთ მაგისი სისხლი! დაგლევ, დაგლევ და დაგლევ ღრიალებდა ფელეტონში ვამოხატული უმანკო მამასახლისი. როდესაც ველარ დავამშვიდეთ და იწეოდა, მე უბრძანე შემოეხსნათ ხანჯალი. ამ დროს კიდევ იწყო საშინელი უშვერი სიტყვებით ლანძღვა: ჩემი, მთავრობისა, სჯულისა და სარწმუნოებისა. ხან აქეთ და ხან იქით წაწვდებოდა ლოლს და კეტს, რომ დაეცა ჩემთვის. ბ. ლენდრე! ვგონებ თქვენი სპეტაკი სხეულიც ვერ აიტანდა ამ გვარ უპატივრობასა, რა გვარიც მე იმან სრულიად უმიზეზოთ მომაყენა. აბა ის პოლიციელი, რომელსაც, თქვენის აზრით, პატიოსანის კაცისაგან ხელიც არ მიეცემა, როგორ მოითმენდა!.. იძულებულ ვიყავ მებრძანებინა ურიადნიკებისთვის და ჩაფრებისათვის ჩამოერთმევინათ ჯაჭვი და შეეკრათ.. ხელები, ვიდრე მე პროტოკოლს დავწერდი...

მე არ ვიცი, იქნება თქვენ ამ ზემო აღწერილ დროს დაგეწყოთ შექსპირის თხუზულება ანუ სჩედრინის ლორებზედ ქადაგება და მით დაგემშვიდებინათ თქვენი ხალხისთვის თავდადებული გმირი—მარამ ხალხისგან ცნობილი საზიზღარი საქმების ჩამდენი და ლოთი; მე რადგანაც, ბ. ლენდრე, თქვენსავით განათლებული არ გახლავარ, ესენიც ვერ მოვახერხე.

ხელების შეკვრამაც ვერ დაამშვიდა და მაინც იწევდა ჩემზედ-ილანძღებოდა და მემუქროდა: თუ ვერ მომკლამს ამ ქამათ, შემდეგ მაინც დალევს ჩემს სისხლს. ამაზედ მე ბ. ლენდრე მიპასუხებს, რომ არ შეიძლება მარტო იმ თქმაზედ ასე გაცოფება.—მაქვს პატივი მოწიწებით მოვახსენო თქვენს სპეტაკს გონებას: პირველს ამორჩევაზე იმის მამასახლისობაზედ მე წინააღმდეგი ვიყავ, როგორათაც ლოთის და ბოროტი კაცისა, ახლა თურმე კიდევ იმედი აქვს, რომ ამოარჩევენ, თუმცა მე დიდი ეჭვი მაქვს ამაზედ, რომ ხალხმა მიანდოს მაგისთანა კეთილ-სინდისიანი სამსახური. უთქომს, რომ რადგანაც მე დამნიშნეს იმას აღარ ამოვარჩევინებ და უნდა რაიმე ხიფათი შემემთხვიოს, რომ მე გამომცვალონ; მარამ უბედურმა ვერ მოახერხა და თავისი თავი გამოცვალა და, ვგონებ, დიდს სასჯელშიაც მისცა...

შემდეგ შედგენისა პროტოკოლისა, მე უბრძანე ურიადნიკს გაეყვანათ მამასახლისი ცოტა მოშორებით, ხელები გაეხსნათ და ნაჩალნიკთან გაეგზავნათ, რომელიც იყო ისე აღსრულებული.

ბ. ლენდრე, რომ დაგიმტკიცო ეს შემთხვევა და ისე არა, როგორათაც თქვენგან იყო განცხოვლებული „დროებაში,“ მე აქ მოვიყვან მოწმეებს რომელნიც იყვნენ თავიანთ თვალით მნახველნი და ყურით გამგონნი, თქვენის პატიოსანის და ჩემგან შეუბრალებელი შებოჭილის და ნაცემს მამასახლისისა. აი პირნი: პრაპორჩიკები მკერვალიძე და ჯაბადარი, მამასახლისები: საგარეჯოსი, ნინო-წმინდის, გიორგი-წმინდისა თავიანთ ხალხით, მედუქნები და მრავალი მოქუჩებული ხალხი. ვგონებ საკმაოთ უნდა გახლდეთ, ბ. ლენრე! თუ ეს არა გახლამთ საკმაოთ და როგორათაც თქვენ სწერთ, რომ თქვენის თვალით იხილეთ შებოჯილი და საშინლად ნაცემი, კიდევ შემიძლიან დაგიმტკიცოთ თქვენი დედა-კაცური ჭორი. იმ მოწმების გარეითად ის მამასახლისი ნახეს გზაზედ —სართის-ჭალაში და ყველა დუქნებში მომავალი თავის-უფლად და ხელებ-გახსნილი. უკანასკნელ სტანციაში, ორხევში, ის იჯდა და ელაპარაკებოდა იქაურ სტანციის სმოტრიტელს ჟურხულს სრულიად თავისუფალი და იქიდგანაც ისე ხელებ-გახსნილი წამოსული; მხოლოდ კონვერტები წამოიღო ლილოს ყარაულმა ქატეს პეპანოვმა და წამოვიდნენ ერთად.

ეს საქმე, მაზრის უფროსის ბრძანებით, აქვს მინდობილი მისს თანაშემწე ისარლოვს, რომელიც უნდა ადგილობრივ გაიდეს და გამოიძიოს. მაზრის უფროსს არავითარი კაცი ამ საქმეზედ არ დაუბარებია; ისარლოვსაც აგრეთვე ჯერ არც ერთისათვის არავისთვის უკითხავს. მაშ აბა ჩემო ლიტერატორო, ჭეშმარიტების დამცველო და აღმადგინებელო, ყოველის კაცის ტანჯვიდგან მხსნელო ბ. ლენდრევ! რაგვარ ან როგორ ინებეთ ნახვა ხელებ-შეკრული მამასახლისისა და ნამეტნავათ ნაცემისა, როდესაც იმისათვის ხელი არავის უხლია. ან საიდან იხილეთ ის სამი კაცი, რომლებმაც გიანბეს ეს საქმე? როდესაც არავინ ყოფილა მაგ საქმეზედ დაბარებული... ბ. ლენდრე მე თქვენ დაგარწმუნებთ, რომ თქვენ ეს სულ სიზმრათ მოგჩვენებიათ და არა ნამდვილად გინახავთ. დიდი განვლე-

ნა ჰქონია თქვენზედ შჩედრინის ლორებს, მაგრამ როგორ დაგეფანტათ გონება, რომ სიზმარი ცხადათ მიიღეთ. ღმერთს გაძლევთ თავდებათ, რომ მე ძალიან ვწუხვარ მაგ თქვენს შეცდომაზედ. მე თქვენ გირჩევთ ექიმი პავლოვსკი ნახოთ და რჩევა ჰკითხოთ თქვენ თავზედ, თორემ უფრო საშიშო იქნება.

თუმცა თქვენ ფელტონში კიდევ სხვაც ბევრი იყო, მაგრამ, რადგანაც მე თავისუფლება ნებას არ მაძლევს განვაგრძელო თქვენთან ბაასი და „დროების" მკითხველნი დარწმუნდებიან, რომ თქვენ ეს სულ სიზმრათ გინახავთ, ამისათვის ვათავებ და კიდევ ხელ-მეორეთ გირჩევთ პავლოვსკი ნახოთ და როდესაც იქიდგან განთავისუფლდებით, გამოიაროთ გუბერნსკის პრავლენიაში, შებრძანდეთ, სადაც იხილებთ თქვენის განთქმულის მამასახლისის მრავალ საქმეებს, ბოროტ-მოქმედებებზედ, ქრთამებზედ, სახლის გატეხაზედ და სხვაზედ.

რაც შეეხება სამს ამორჩევას თქვენის მამასახლისისას, ისიც ისეა ჭეშმარიტი, როგორათაც თქვენი სტატია. ბატ. ლენდრე, მე ამ ჩემს პასუხს დავამტკიცებ მოწმეების ფიც ქვეშ და თუ თქვენ ვერ შეიძლოთ თქვენის უსაფუძვლო ჭორიკანობის დამტკიცება, მაშინ გირჩევთ წარმოადგინოთ დოქტორ პავლოვსკის მოწმობა თავისი რეცეპტით.

სართიჭალის პოლიციის პრისტავი
დავით ნაცვალოვი.

# განცხადებანი

„შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგებელი კომიტეტი" ამით აცხადებს, რომ ამ ენკენისთვის 5-ს მოხდენილის კენჭის-ყრით საზოგადოების მოსამზადებელს სკოლაში მიღებულ იქმნენ:

ა) საზოგადოების ხარჯზედ: — Ილიკო სუმბათოვი, ნიკო შატბერაშვილი, გიორგი ფაღლენიშვილი, დათ. კობახიძე, ზაქ. ჯავახიშვილი, კოტე კანდელაკი, დათ. ანანიაშვილი, ანდრ. მგალობლიშვილი, გიგო რატიშვილი, ვლად. კანდელაკი, ვასო ფურცელაძე, სულ თერთმეტი.

კენჭის გათავების შემდეგ კომიტეტმა შეიტყო, რომ ყმაწვილი დათ. კობახიძე ამ ზაფხულს შინ გარდაცვლილიყო; ამის ალაგზედ უყარეს კენჭი დანარჩენ კანდიდატებს და კენჭი შეხვდა დათ. მგაძეს.

ბ) ნახევარს ხარჯზედ: (ათ თუმნიანი პანსიონერები) მიხ. მურმანიშვილი, კოტე კობიევი, ნიკო ანდრონიკაშვილი, ვასო ზაალიშვილი, ვლად. ფანიაშვილი.

გ) თავიანთ ხარჯზედ: (ოც თუმნიანი პანსიონერები) ალ. მუხრანსკი, Ილიკო საავნელი, ალ. საავნელი, მიხ. მუხრანსკი, ზაქ. ჯავახიშვილი, მიხ ბარათაშვილი, ნიკო ბარათაშვილი, პავ. Ⴀაციშვილი, ადრიან Ⴈოსელიანი, Ⴈვ. კავლიაშვილი, ნიკო ავალიშვილი, Ⴈვ. კორინთელი, ვლად. ჩრდილელი, Ⴈოს. პაიჭაძე, მიხ. Ⴇავზარაშვილი, სიკო ჯაფარიძე, გ. რატიშვილი, სულ ჩვიდმეტი.

უკეთუ ეს ზემოთ-დასახელებული ყმაწვილები არ გამოცხადდებიან სკოლაში ამ ენკენისთვის გასვლამდის, მაშინ ღვინობისთვის 1-ს მათ ნაცვლად სკოლაში მიღებულ იქმნებიან მათ შემდეგი კანდიდატები. (3—1)

გ. იოსელიანისა და რეცოლდის პანსიონში და სკოლაში იღებენ ყმაწვილებს ყოველ საშვალ სასწავლებლებში მოსამზადებლად.

მიხაილოვის ხიდთან, ნიკოლაევსკის ქუჩის კუთხეში, კნეინა ბრუზინსკის სახლებში № 21. (5—2)

## ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲒᲠᲘᲥᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

აღსნა ლოცვებისა, სიმოვოლ-სარწმუნოებისა და მცნებებისა

სასოფლო, საერო და სამოქალაქო სასწავლებელთათვის

შედგენილი კავკასიის აქეთა მხარის სამოსწავლებლო სემინარიის საღრმთო სჯულის მასწავლებლის მღვდლის ლაზარე ტურიევისაგან.

ფასი—20 კაპ.

Ⴈბეჭდება და მალე გამოვა მღვდლის ტურიევისავე: სახელმძღვანელო საღრმთო ისტორიისა ძველის და ახალის აღთქმისა სურათებით. (6—4)

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ხილქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას გიარები. (100—22)

ინგლისის მაღაზიაში



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—29)

## ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

არწრუნის გალლერეიაში

*(Maison de confiance)*

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—38)

**ᲩᲐᲘᲡ ᲛᲪᲝᲓᲜ, ᲞᲘᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲝᲡ ᲩᲐᲘ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲡᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ 1 ᲛᲐᲜ. 20 ᲙᲐᲞ. ᲓᲐ 2 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ ᲨᲔᲐᲓᲐᲠᲝᲡ ᲩᲐᲘᲡ 1 60 ᲙᲐᲞ. ᲓᲐ 3 [illegible] Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ [illegible] ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲗ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲩᲐᲘᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲬᲝᲜᲘᲗ ᲣᲥᲐᲦᲐᲚᲓᲝᲗ ᲓᲐ ᲣᲢᲧᲣᲘᲝᲗ.** (100—34)

# ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურკლი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ხილქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ *(choke bore) George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—7)

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

სამწერლო

# ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲘ

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასაგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი( მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) გ—სა, V ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გავლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

## ამერიკელი კბილის ექიმი დოქტორი ი. ა. ვალტერი

რომელიც დიდის მთავრის დუნაის—იქით არმიის მთავრისა განკარგულებით დანიშნული ვიყავი კბილის ავათმყოფობის კონსულტანტათ და მივიღე ორი წარჩინებული დიპლომი, მოვსულვარ თბილისში და ვიღებ კბილით ავათმყოფებს კბილების ჩასასმელად რბილ საგებზე უპრუჟინოთ რომელსაც არა ვრაცხ გამოსადეგრათ ვინაიდგან პრუჟინა უშლის რიგიანათ საჭმლის დაღეჭვას.

ჩემი ექიმობის მეტოდას ხმარობენ კბილის ექიმები მთელ რუსეთში მარტო პეტერბურღში; და მოსკოვში და არა სადმე პროვინციაში არავის ვურჩევ ისმარონ ჩანგლებიანი კბილები, მისთვის რომ ჩანგლები და კავშირები სცვეთავენ კბილებს, რაიცა უეჭველია, შენიშნული ქქნებათ იმათ, ვისაც ისინი უხმარია.

კბილების მოგლეჯას არ ურჩევ. ამისთვის რომ კბილების მოგლეჯა თუ გინდ ერთისაც ცუდათ მოქმედობს სხვა კბილებზე. ამისთვის სჯობს კბილის ოქროსი, პლატინასი ანუ მილანქრის პლომბით გაკეთება მაქვს ახალი ჩემგან მოგონილი საშუალება რომელითაც შეიძლება დაიცვას კბილები წახდენისაგან და ტკივილისაგანაც. ეს საშვალება არის დამტკიცებული მედიცინის დეპარტამენტისაგან.

ნიმუშები: ახლად აღმოჩენილი შეზავებულ კბილებისა და პლომბიროვსკები შეუძლიანთ ნახონ ჩემს კაბინეტში. ყოველს საქმეს შესახებ კბილების ავათმყოფობისა ვასრულებ 24 საათში:

ვიღებ ავათმყოფებს დილის ათი საათიდგან საღამოს ექვს საათამდის. ვცხოვრებ გალავინსკის პროსპექტზედ მითევის სახლებში სადაც იმყოფება ვესტლის ფოტოგრაფია ბ მირზოევის სახლში სადა იყო კარტინის ვისტავკა შესავალი გალავანსკის პროსპექტიდამ. (5—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Сентября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხ